№ 134
სამშაბათი, 27 ივნისი 1895

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

1877—1895

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 134
სამშაბათი, 27 ივნისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

**«ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

---

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ გიორგი ეფიმის ძის წერეთლის ადგილი, რომელიც იმყოფება ქ. ბათუმს „მუფთიეში“, და შესდგება ერთ-სართულიან ხის შენობისაგან ქვის საძირკველზედ, თავისის ეზოთი, მიწა ზომით $68^1/_4$ ოთხ-კუთხი საჟ., სავალო გარდასახადის შეუტანლობისა გამო დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გასასყიდად.

(1—6—1).

---

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა სოკოლოვსკიმ ბრძანება გასცა, რომ ტფილისის ყველა პოლიციის განყოფილებათა ბოქაულებმა დაათვალიერონ შენობები ტეხნიკების თანდასწრებით და თუ სადმე აღმოჩნდება ძველი შენობა საშიშს მდგომარეობაში, მოხსენება წარადგინონ, სადაც ჯერ არს, რომ თავისს დროზედ საჭირო საშუალებანი იქმნას მიღებული. ამ დათვალიერების დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ შენობებს, რომლებიც მტკვრის პირად არიან.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დადგენილებით ამ ჟამად რამდენიმე წიგნაკი დაუბეჭდიათ, რომლებიც დიდად საინტერესო არიან ადგილობრივ მეურნეთათვის: „ტფილისის გუბერნიის სამეურნეო სკოლის ტიპი,“ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და ა. ფირალოვისა (16 გვერდი); „თამბაქოს რაციონალური მოვლა-მოყვანა“, ე. ა. ჩუბკოვისა (25 გვერდი) და „საქართველოს ღვინოების სყიდვა“, გამოკვლევა აგრონომ:ს ს. ნ. ტიმოფეევისა (30 გვერდი).

*** ამ ბოლო დროს ორჯელ-სამჯერ შეჰნიშნეს ქარვასლის ქვეშ მოვაჭრე მეწვრილმანეს, რომ იგი ყალბს საწონს ხმარობდა; კიდეც შენიშნეს თურმე, მაგრამ ამ ვაჟბატონმა მაინც არ დაიშალა და ეს ხელობა არ დასტოვა. მოთმინებიდგან გამოსულმა ყმაწვილმა კაცმა ბ... ველარ მოუთმინა თურმე და ყალბი საწონი $^1/_4$ გირვანქიანი პოლიციას წარუდგინა. პოლიციამ მეწვრილმანეს სხვა საწონებიც გაუსინჯა და იმათშიაც გამოდგა რამდენიმე ყალბი გირვანქიანი. პოლიციამ ამაზედ განაჩენი შეუდგინა და სასამართლოს გადასცა. სასურველია, პოლიციამ მეტი ყურადღება მიაქციოს საწონებს, რომ საწყალი მუშა თუ წვრილი მოხელენი დაიფაროს მოტყუებისაგან.

*** დღეს, 27 ივნისს, ტფილისის გუბერნატორი თავადი გ. დ. შარვაშიძე აბასთუმანში მიდის.

*** დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს კვირა საღამოს სხდომა ჰქონდა დანიშნული. თავმჯდომარედ კომიტეტისა არჩეულია პავლე ყიფიანი, თანაშემწეთ მ. კვალიაშვილი, ხაზინადრად პეტრე ყიფიანი და მდივნად ი. მაჭავარიანი.

*** გუშინ-წინ, 25 ივნისს, დილის 12 საათზედ, ავლაბრიდგან მომავალი ტრამვაის ვაგონი რიყეზედ, მალაკნების ქუჩაზედ, დაეჯახა მწვანილის საზიდ პატარა ეტლს, რომელიც დუქნის წინ იდგა და სრულიად დაამტვრია. ვირი ვაგონსა და დუქანს შუა მოჰყვა და თუ არ დუქნის თხელი დარაბა, რომელიც მაშინვე ჩაიმტვრა, უთუოდ გაიჭყლიტებოდა. გასაოცარი ის არის, რომ ვაგონში მსხდომი ხალხი და თვით ტრამვაის მეჯინიბეც კარგად ჰხედავდნენ ეტლს, ხალხი ურჩევდა ვაგონი დაეყენებინათ, მაგრამ ტრამვაის მსახურმა არ გაიგონა და ვაგონი პირდაპირ ზედ შეაყენა. ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამ გარემოებამ. საკვირველია, არა ერთხელ და ორჯელ მომხდარა ასეთი ამბავი და შეუნიშნავთ კიდეც, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს ტრამვაის გამგეობამ მსახურთა ასეთს დაუდევრობას, მაგრამ სჩანს ტრამვაის გამგეობას ეს თავისს მოვალეობად არ მიაჩნია.

*** გუშინ, 26 ივნისს, რიონსა და მიხაილოვს შუა დიდის წვიმების გამო კვლავ ჩამოწვა მიწის ზვავი. მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. როგორც იწერებიან, ორ დღემდის არ გაიწმინდება გზაო.

*** სოფ. ხუმელაგა, (კავკავის მაზრა); ამ თვის პირველ რიცხვებში ხუმელაგაში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. აქ მცხოვრებს მოსე ფხალაგოვს ელისეი გუკაევთან ჩხუბი მოუვიდა; გუკაევს მიეშველა თავისი ნათესავი გიორგი ყაითმაზოვი და მოსე ფხალაგოვს სცემეს; მოჩხუბარნი ხალხმა გააშველა. ამ დროს მოვიდა საიდგანღაც მოსე ფხალაგოვის მამა დავითი. ამან არაფერი არა იცოდა-რა, საქმე რაში იყო და დაუწყო კითხვა ხალხს: რა ამბავი არისო. ამ ლაპარაკში მიეპარა უკანიდგან მოხუცს დავით ფხალაგოვს გიორგი ყაითმაზოვი და თავში დაუშინა ჯოხი. ჯოხის დარტყმაზედ დავითმა იძრო ხანჯალი და გიორგი ყაითმაზოვს მუცელში ატაკა; ყაითმაზოვი იქვე უსულოდ დაეცა. მოხუცი დავით ფხალაგოვი და მისი შვილი მოსე ორივენი დაპატიმრებულნი არიან ამ ჟამად.

*** ბარის ოსები: გამუდმებული წვიმა თავს არ გვანებებს, ყანები სულ მიწას გააკრა. სიმინდიც ტანს არა შვრება და აგრეთვე გამუდმებული წვიმა ხალხს ძლიერ ხელს უშლის მუშაობაში.

---

## ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

25 ივნისს.

12 საათზედ სხდომა დაიწყო, თავმჯდომარედ კრებისა ერთხმად არჩეულ იქმნა უგან. თავ. პეტრე გრუზინსკი.

უ. თავ. პეტრე გრუზინსკი. რადგან საკმაო წევრებზედ მეტიც გამოცხადდა, კრება მიმაჩნია კანონიერად და შევუდგეთ დანიშნულ საქმეების გარჩევას. ამასთან არ შემიძლიან არ გამოვაცხადო ჩემი სიხარული იმის გამო, რომ ეს მეორე ჩვენი კარგი საქმე დამთავრდა და საფუძვლიანს ნიადაგზედ სდგას. ეს ბანკი უფრო სასარგებლოდ და საჭიროდ მიმაჩნია თავად-აზნაურობის ბანკზედ და იმედია, როგორც გულმოდგინედ იქ, იმ ბანკში, ჰმოქმედებთ, ისე მთელს თქვენს ენერგიას, ყურადღებას ამ ახლად დაარსებულს ბანკს მიაქცევთ. ყველაზედ უწინარეს ვაძლევ ჩემს თავს ნებას გირჩიოთ ამ საქმის სათავეში იმისთანა პირნი უნდა დააყენოთ, რომელთაც მართლა შეეძლოთ საქმეების კარგად მართვა!

ამის შემდეგ გამგეობის წევრმა თ. ვ. მიქელაძემ წაიკითხა რჩევის მოხსენება, რომლიდგანაც სჩანს, რომ წესდება ბანკისა დამტკიცებული მინისტრისაგან ამ წელში გამოცხადდა საყოველთაოდ, 23 თებერვალს ამ წლისა; მაშასადამე ის 6 თვე, რომლის განმავლობაში კანონისებრ უნდა ბანკის ოპერაციები დაიწყონ, ჯერ არ გასულა და კანონი ყოველის მხრით დაცულია. 15 მარტს მოხდა პირველი კრება, რომელზედაც აირჩიეს ყველა თანამდებობის პირნი. 25 მარტიდგან გამგეობამ დაიწყო თხოვნების მიღება. ხვედრი ფული ბანკის დასაარსებლად შემოიტანა 235 პირმა. 24 ივნისამდე 31,155 მან. შემოვიდა. გამგეობა სრულს ოპერაციებს დაიწყებს 15 ივლისამდე.

მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა. წლიური ხარჯი გამგეობის მოხსენებით არ აღემატება 4,800 მან., თითონ ბანკის სადგომის მოსაწყობად 1000 მან., ზოგიერთ არა მოსალოდნელ ხარჯისათვის გამგეობამ ითხოვა კრებისაგან კრედიტი 3000 მან., რაც შეეხება გამგეობის ჯამაგირებს—მოხსენებით, მხოლოდ მაშინ მიეცეს, თუ ბანკს მოგება დარჩა—გამგეობის თავმჯდომარეს 2400 მანეთი და დირექტორებს 1800 მანეთი თითოს.

ხარჯების მოხსენება, გარდა გამგეობის ჯამაგირებისა, ცოტ-ცოტა ცვლილებით დამტკიცდა კრებისაგან,

---

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

### ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ.

მიყვარხარ, მთაო ტყიანო,
მინდორო ყვავილიანო,
შენც, წყარო, ტინში ნაშობო,
ანკარავ, ტკბილო ხმიანო;
დანამულს ველზედ მდგომარევ,
ირემო, ლამაზ-რქიანო,
და ცაო ლურჯო ლილისავ,
კამკამა მთვარე-მზიანო!
მიყვარხარ, ნაზო, ნარნარო,
მზე-ქალავ, გიშრის თმიანო,
გრძნობის ზღვავ დადინჯებულო,
შავ-თვალავ ენა-წყლიანო,
ბრძენთა სწავლისა მიმყოლო,
დიდ-გრძნობა, გონებიანო,
ქარაფშუტობის მოძულევ,
ქვეყნისთვის სარგოიანო!
მიყვარხარ, გმირო ვაჟკაცო,
სიბრძნის მეტყველო, ჰკვიანო,
სამშობლოს წყლულთა წამალო,
განთქმულო, სახელიანო,
საწყალ ძმათათვის მტირალო,
თავ-დადებულო, ღვთიანო,
მტერთა გულისა მლახვრავო,
ცის რისხვავ, ომახიანო!..

დ. მაჩხანელი.

---

### ᲠᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲘᲧᲝ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ!

ამბავი.

სწორედ ნაშუადღევის რვა საათსა და ხუთს წამზედ გაზაფხულის წყნარს, სურნელოვან საღამოს ჰაერში უეცრად გაისმა ხანგრძლივი სტვენა საქონლის მატარებლისა, რომელიც № ის პატარა რკინის გზის სადგურს დინჯად, ნელის სიარულით უახლოვდებოდა. საღამოს ბინდ-ბუნდში ორთქლ-მავალის ორი მრგვალი თვალი როგორღაც მკრთალად დაღვრემილად გამოიყურებოდა შორიდგან, თითქოს იმათი პატრონი ერთობ მძიმე ტვირთის ზიდვით დაქანცულ-დაღალულიყოს. მართლაც ორთქლ-მავალმა ისეთის მძიმე ხვნეშით და ზოზინით ჩაუარა სადგურს, ასე იფიქრებდი, ლონე გამოჰლევია და ესეც არის აქვე სული უნდა დალიოსო. ბაქანზედ მომდგარის მატარებლის გრიალი და ზარის წკარუნი თითქმის ერთსა და იმავე დროს შესწყდა.

მატარებლიდგან, რომელიც ორმოც ვაგონისაგან მაინც შესდგებოდა, ჩვეულის სიმარდით რამდენიმე კონდუქტორი გადმოხტა და უმთავრეს სადგურის შენობისკენ გაეშურნენ. მხოლოდ ერთი მათგანი, ყველაზედ უფრო ახალგაზდა, ქერა, ახლად წვერ-ულვაშ აშლილი, დაფიქრებულის კეთილის ცისფერ თვალებით, მოშორდა ამხანაგების გუნდს და აჩქარებით მეორე სახლისკენ გასწია, რომელიც ცოტა უფრო ქვემოდ, განცალკევებით იდგა.

— ჰაი-და-ჰა! გასწია დათიკომ... ძალიან მებრალება საწყალი: სულ დარბის და არაფერი-კი არ გამოდის ამ სირბილიდგან.—შენიშნა ერთმა შავგვრემანმა კონდუქტორმა ეშმაკურის თვალის ქნევით.

— როგორ თუ არ გამოდის? ქალს ძალიან უყვარს და ცოლობაზედაც თანხმაა, რამდენადაც ვიცი,—უთხრა მეორემ.

— აბა შენ გცოდნია აი, კარგად საქმის გარემოება!—ირონიულად შენიშნა მესამემ, რომელსაც საუცხოვო წვერი ჰქონდა,—რბილი, ხუჭუჭი და ისეთი გრძელი, რომ ქამარს ქვემოდ სცემდა.—ქალს, მართალია, სურს ცოლად გაჰყვეს, მაგრამ მამა ანგარიშის კაცია და ჯერ-ჯერობით ყურშიაც არ ჰსურს შეუშვას ეს ამბავი: სანამ „ობერობას“ არ იშოვნის, მე ქალს ვერ მივცემო. მას არაფერი აბადია და ჩემს ქალსაო; თექვსმეტი მანეთით თვეში-კი შორს ვერ წახვალ ცოლ-შვილიანი კაციო. ასე ამბობს ბატონი გზის ოსტატი, და თუ მკითხავთ სამართლიანადაც ამბობს.

— მერე დათიკო რაღას შვრება,—არ სცდილობს ობერობის შოვნას? ჰკითხა ამხანაგმა.

— აბა რა ბიჭია, არ ეცდება! სცდილობს, შვილოსა-კი არა სულ თავ-პირს იმტვრევს; შეჰპირდნენ კიდეც,—მიუგო გრძელ-წვეროსანმა,—მაგრამ უბედურება ის არის, რომ ცოტაოდენი დაბრკოლება ელობება წინ-ა-ა ა! უკანასკნელი სიტყვა როგორღაც დიდ-მნიშვნელოვანად გაჭიანურებით წარმოსთქვა.—საქმე იმაშია, რომ „მეტრიკის“ შოვნა უძნელდება. აგერ ერთს თვეზედ მეტია, რაც საწყალი თითქმის ყოველ დღე დედას სწერს სახლში, სამსახურისათვის მეტრიკა მჭირია, დაფაცურდი როგორმე და მომაშველეო, მაგრამ ჯერაც არაფერი ამბავი მოსვლია. უფროსი ჩქარობს, თუ ამ კვირაში არ წარმოადგინე საბუთი, იძულებული ვიქნები დაპირებული ალაგი სხვას მივცეო.

— რად არ უგზავნიან მერე? განა არ იციან, რომ საჭიროა?

— ძალიან კარგად იციან, მაგრამ რა ჰქნან, თუ-კი ადვილი არ არის იმისი შოვნა? აბა გასინჯე, შენ რომ მამა არ გყავდეს, საიდგან გამოგიძებნონ და ქაღალდში ჩაგიწერონ ამა-და-ამ კაცის შვილიაო? განა არ იცი, რომ დათიკო უკანონო შვილია, ესე იგი მდაბიურად, ბუში? აი ამ მდგომარეობაშია საქმე: თუ „ობერობა“ ვერ იშოვა, მაშინ მშვიდობით სიყვარულო! ბევრიც რომ იცემოს გულში მჯიღი, მსხვილ-მსხვილი კურცხალი ჰყაროს და სულ იძახოს: „შენ ჩემი ხარ, მე შენიო“, ქალის მამა ტყუილად ყურსაც არ გაიბერტყს: „წადი, მომშორდი თავიდგან, შვილოო! ცოლი თუ გინდა, ცომიც მზად უნდა გქონდესო!“ აი რას ეტყვის გზის ოსტატი. ასე თუ ისე,

გამგეობის ჯამაგირების თაობაზედ-კი გაიმართა კამათი.

ბ. გ. ქურული. უპირველესი ჩვენი ყურადღება გამგეობას უნდა მივაპყრათ—ჩვენ ისეთნი პირნი უნდა გვყავდნენ ამ საქმის სათავეში, რომელთაც მართლა შეეძლოთ ჩვენთვის სარგებლობის მოტანა და შრომა. კრება ვალდებულია დააჯილდოვოს ამგვარი პირნი და თუმცა ჩვენ, გამგეობის მიმართ, ამისთანა მოხსენებისათვის, მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა, მაგრამ ტყუილად შრომას ვერ მოვთხოვთ და არც ჩვენი საკადრისი იქნება. შეიძლება ბანკს მოგება არ დარჩეს პირველ წელიწადს და რა პირობით უნდა მოვთხოვოთ ჩვენ, რომ ჩვენთვის ამ პატივსაცემ პირთ ტყუილად იშრომონ—ამისათვის მე შემომაქვს წინადადება, მოხსენებული ჯამაგირები იმათ დაენიშნოს პირდაპირ და მიეცეს ისე, როგორც ჯამაგირებს იღებენ.

პეტრე ყიფიანის წინადადებით: დირექტორებს მიეცეს წელიწადში 1200 მან. თითოს და დანარჩენი ექვსას-ექვსასი მანეთი წლის თავზედ მოგებიდგან. კრება ერთხმად მიიღებს.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ყველა კითხვები დათავდა და ახლა არჩევას შევუდგეთო, რადგან თავ. ალ. ჩოლოყაშვილმა უარი განაცხადა გამგეობის თავმჯდომარეობაზედ. პირველად ამ თანამდებობისათვის უნდა დანიშნოთ კანდიდატი, თუ შეიძლება წერილობითიო.

ბ. გ. ქურული. შეიძლება ისეთი კანდიდატი დავასახელოთ, რომ არავითარი კენჭის ყრის პროცედურა არ დაგვჭირდეს. ჩემის მხრით, გავბედავ დავასახელო პატივცემული ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი.

თითქმის ვერც-კი მოასწრო ბ-ნმა ქურულმა სიტყვის დათავება, რომ კრებამ შექმნა საშინელი ტაშის-ცემა და ყვირილი. ვთხოვთ ერთხმად!

ნ. დ. ზუბალაშვილი მადლობას უხდის და მთელს ჩემს ძალ-ღონეს მოვახმარ თქვენს სამსახურსო. გთხოვთ ამასთანავე შევწიროთ მადლობა გამგეობის წევრებს თავისის შრომისათვის და განამტკიცოთ მათი წინანდელი არჩევა.

კრება ერხმად ეთანხმება. საბჭოს წევრებად აირჩიეს: თ. ნ. ბ. ერისთავი, გ. ს. განძიელი და ნ. ფ. ხიზანიშვილი. სარევიზიო კომისიაში: თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ვ. პ. პავლოვი და ს. ი. ფირნაძე. ამათ კანდიდატებათ: პ. ი. ყიფიანი, ა. ბერელაშვილი და გ. დ. ქურული.

კრება ორ საათზედ დაიშალა.

## კორესპონდენცია.

**ს. სალოლაშენი, (ქართლი).** მომეტებულ ნაწილად დაბა-სოფლებიდგან გულის შემზარავ და შესაწუხებელ ამბებს იწერებიან. ჰფიქრობ, სწუხარ და ეკითხები შენ თავს: ნუ-თუ არავინა ზრუნავს და არავის შესტკივა გული სოფლისათვის, როდესაც თითქმის ყოველს სოფელში ან თავადი, ან აზნაური, ან მღვდელი და ან მასწავლებელი სცხოვრობს, მაშ რას აკეთებენ ესენი და რას ემსახურებიან? თუ ქონებრივ დახმარებას არავის უჩენენ, ნუ-თუ კეთილის მაგალითის მაჩვენებელნი და კეთილს გზაზედ დამყენებელნი მაინც არ არიან?

მაგრამ, როგორცა ვხედავთ, ცოტას შესტკივა გული, თითით საჩვენებელია ჰუმანიურის აზრებით გამსჭვალული კაცი სოფლად. ამიტომ როდესაც შეხვდები იმისთანა კაცს სოფელში, რომელიც არამც თუ ჰფიქრობს, არაფერს არ იშურებს სოფლისათვის, გულს ნათელი გეფინება და იმედი გეძლევა. სწორედ ასეთი კაცია თავადი სარდიონ ამირაჯიბი, რომელსაც სოფლისთვის ზრუნვა თავისს პირველ მოვალეობად გაუხდია. თავადმა სარდიონმა თავისის ხარჯით იტვირთა ეკკლესიის შიგნით და გარეთ გაკეთება და გამშვენიერება. არაფერში არ შეუწუხებია სოფლის ხალხი, მარტო ქვიშა და ქვა მოაზიდვინა ეკკლესიისათვის, რაიც არც გლეხებს გასჭირვებიათ. თავადი სარდიონი ძველებური კარგი მებატონე რომ გაგიგონიათ, ის არის,—ჭირშიცა და ლხინშიც ნამდვილი მეგობარი და მონაწილე ხალხისა. სამაგიეროდ სოფელიც მადლიერია და უყვარს ეს კეთილშობილი კაცი.

საბედნიეროდ თავადის სარდიონის ქველ-მოქმედებას არა თუ არ აფერხებენ დანაშთენნი წევრნი მისის ოჯახისა—ცოლი და შვილები, არამედ ისინიც ისეთისავე გრძნობით არიან შემოსილნი, როგორც თვით ოჯახის უფროსი წარმომადგენელი. თითქმის ჩვეულებად გაიხადეს სოფლის ღარიბ გოგოების ხან ყოველ წლივ და ხან ორ წელიწადში ერთხელ შემოსვა, ჩაცმა და დახურვა. ამ ზაფხულობით კიდევ უფროსმა ქალმა შეკრიბა სოფლის გოგოები, დაურიგა მუქთად წიგნები, დაფები და დააწყებინა სწავლა.

ოჯახის დიასახლისი ეჯიბრება თავ. სარდიონს ქველ-მოქმედებაში. არაფერი კეთილი და სასარგებლო არ გაკეთდება ფრონის ხეობაზედ, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიიღოს კნეინა მაკინემ. შარშან მოუგროვა ფული და მისცა შეძლება ყიფიანს მოსკოვის ერთ-ერთს სასწავლებელში შესვლისა, წელს-კი ითავა და გაჰმართა საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენა. ყველაფერი სცენის მოსაწყობად და გასამართად კნეინა მაკინემ მოუხერხა იმ ყმაწვილ ქალთა და ვაჟთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში; არაფერი არ დაიშურა, რის მოხერხებაც-კი შეეძლო. წარმოსადგენად დანიშნული იყო „თამარ ბატონიშვილის“ მეოთხე მოქმედება და გუნიას „რაც არ მერგება, არ შემერგება“. წარმოადგინეს კიდეც თხუთმეტს ამ თვეს მახლობელს სოფელ ბრეთში და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი წესზედ და რიგზედ მიდიოდა, ხალხიც კარგა ბლომად დაესწრო წარმოდგენას. მადლობის ღირსნი არიან ყველა მოთამაშეები, რომ არ დაიზარეს და კნეინა მაკინეს მოწოდებას ყური ათხოვეს, სიამოვნებით მიეგებნენ.

მეტად სასიამოვნოდ და მშვენივრადა თამაშობდა გუნიას პიესაში კატუტია თავადის წერეთელის ასული ნინოს როლს, უმთავრესი პირი ესაა პიესაში და მოხდენილადაც ჩაატარა თავისი როლი, არა უშავდათრა დანარჩენ მოთამაშეებსაც. ყველას ეტყობოდა, რომ გულმოდგინედ მოეკიდნათ საქმისათვის ხელი და ბეჯითად შეესწავლათ როლები. თუმცა-კი უნდა შევნიშნოთ, რომ შეუფერებელი პიესაა სოფლის თეატრისათვის ეს პიესა. დანახარჯი თეატრის მოსაწყობად არაფერი არ აღმოჩნდა, რადგან ყველაფერი კნეინა მაკინემ იტვირთა და სრული შემოსავალი გაგზავნილ იქმნა კიევში ღარიბ მოსწავლე თომა მჭედლიშვილის სასარგებლოდ.

ან-ნა.

---

**დ. ყვირილა,** 23 ივნისი. არ ვგონებ, რომ იყოს სადმე კიდევ სხვა ადგილი ასე შეწუხებული უსუფთაობით, როგორც დაბა ყვირილაა. დაბის თვითონ შუა ადგილზედ არის გამართული სავაჭრო მოედანი, სადაც მოდიან ახლო-მახლო სოფლებიდგან ურმებით გლეხები, აყენებენ აქ ურმებს და ჰყიდიან: სიმინდს, პურს, შეშას და სხვას. დილიდგან საღამომდე ურმები ამ მოედანზედ რჩებიან ყოველ კვირაობით და პარასკევობით. ამის გამო ამ მოედანზედ გავლა შეუძლებელი ხდება; კარგად წარმოიდგენთ, რა სისუფთავეც იქნება აქ. ყვირილაში სხვაგანაც ბევრია ცალიერი ადგილები, რომელზედაც სავაჭრო მოედანი შეეძლოთ გაემართათ და რა გაჭირვებაა, რომ მაინცა-და-მაინც ამ შუა ქალაქში, სადაც გზა არის ვოკზალზედ მიმავალთათვის, დააბანაკონ მთელი ახლო-მახლო სოფლის ნახირი და გააფუჭონ ჰაერი?! ამიტომ ძალიან კარგი იქმნება ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს დაბის უსუფთაობას სავაჭრო და მოედანი უფრო მოშორებით გადიტანოს.

იმერელი.

## მესამე დასის პრაქტიკული მოღვაწეობა.

„კვალი“ თან-და-თან უფრო არკვევს თავისს პროგრამმას. აი, მაგალითად, მე 27-ე №-ში სამი ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტი წერილია. რის თაობაზედ? ამ წერილების ავტორებს რომ ჰკითხოთ, ისეთ რამეებზე, რასაც მეცხრამეტე საუკუნეც-კი შეუძრწუნებია. „აფსუს, მეცხრამეტე საუკუნეო, დრტვინავს ერთი მათგანი: შენს მეცნიერებით აღჭურვილს მოძღვრებას ჩაილულის წყალივით ჩაუვლია ბევრისთვის, ძველი ტრადიციების აღმოსაფხვრელად ცოტა მანძილი გაგივლია“, თუმცა მეორე თავს მით ანუგეშებს, რომ „მეცხრამეტე საუკუნემ უკუნით მოცულს ბნელეთში თავისი ბრწყინვალე მადლიანი სხივი შეაშუქაო“, თუმცა ამისი სიტყვითაც ის საქმე, რომელიც მოხდა, „არამც თუ კერძოთ მარტო ოზურგეთელ ვაჭარს ეხება, არამედ მთელს გურიას აცხებს ამოუშლელ ჩირქს“, მესამე ავტორიც ეთანხმება მეორეს, რომ ეს საქმე მთელს საზოგადოებას ზიზღსა გვრისო და დიდად აღშფოთებულია, რომ ამ საქმის გამო შეურაცხება მიაყენეს თვით „კვალს“, „რომელშიაც მოღვაწეობენო, ბრძანებს იგი, ისეთი პირები, რომელთაც მთელი თავისი პირადი სარგებლობა შეუწირავთ და თავიანთის მუდმივის დაუღალავის შრომით, დაუმსახურებიათ სახელი საზოგადოების თვალში და საზოგადოებაც შეჰყურებს მათ, როგორც ბნელ ღამეში ანთებულს ლამპარს“. ერთი სიტყვით, მთელი „მესამე დასი“, აღშფოთებული, ფეხზედ დამდგარა და თავგანწირულს ბრძოლას ჰქადაგებს. რა ამბები მომხდარა ასეთი, რას აუღელვებია ასე პატივცემული „კვალის“ რედაქცია და მთელი „მესამე დასი.“ აი რას: 1) ორი ხსენებული ავტორი ერთხმად გადმოგვცემენ, რომ თავ. დიმიტრი ერისთავს ერთის გურულ ვაჭრისათვის ხელი არ ჩამოურთმევია; რომ ეს მართალი ყოფილა, ამაზედ ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ „კვალის“ კეთილ-სინდისიერის გამოძიების შემდეგ. ერთი კორესპონდენტი თავისის პირითვე აცხადებს, „რომ თვით მე, თქვენი უმორჩილესი მონა იმ დროს იქ გახლდითო... და, მაშასადამე, ეს ნამდვილიაო“. მეორე ამ ორის თვის წინად ქ. ოზურგეთში გხლებიათ (ალბად ამ საქმის გამოსაძიებლად)

---

ძალიან მებრალება საწყალი ჩვენი დათიკო, კაი ბიჭია და საწყენი იქნება, თუ მისი საქმე ცუდად გათავდა.

ასე ლაპარაკობდნენ დათიკო უგვაროშვილის ამხანაგები იმ დროს, როდესაც თითონ ის ბედნიერებით, გაბრწყინვებულის სახით იდგა 16—17 წლის მშვენიერ გასათხოვარ ქალის წინ გზის ოსტატის ბინის დერეფანში, ორივე იმისი ხელები დაეჭირა და ხასცქეროდა შავს დიდრონ სხივიან თვალებში, რომლებშიაც იხატებოდა აღტაცებულის სიყვარულისა და უმაღლესის ნეტარების გრძნობა. ისინი დაბალის ხმით, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

— რომ აღარაფერი ეშველა ჩვენს საქმეს! ოჰ, რა გულ ქვა კაცია მამა ჩემი!.. იქნება დღეს მაინც მოგივიდეს ის რაღაც ქაღალდია? ეუბნებოდა ქალი, რომლის სახეზედ სიხარულისა და სევდის გამომეტყველება წამ-და-უწუმ ერთი მეორეს სცვლიდნენ.

— ველი, ყოველ დღე ველი, ჩემო სულის-დგმავ... შეიძლება დღესაც მივიღო.

— მერე მაშინვე მოგცემენ უმაღლესს ადგილს?

— იმ წამშივე, როგორც-კი მოვა, რადგანაც უფროსისაგან დაპირებული მაქვს. რა ბედნიერი ვიქნები მაშინ, ანიკო, რა ბედნიერი!..

ყმაწვილმა კაცმა მაგრად მოუჭირა ხელი ხელზედ და მისს კეთილს, ლურჯ თვალებში მთლად გამოიხატა აღტაცება გაგიჟებით შეყვარებულის ოც-და-ხუთის წლის ახალგაზდა კაცისა.

— მაშინ მამა-შენს აღარ ექნება მიზეზი უარის თქმისა და ჩვენ შევვერთდებით საუკუნოდ... განაგრძო მან აღტაცებულისავე კილოთი.

— მე ყოველ დღე ვევედრები ღმერთს, მალე მოგივიდეს... ის. . რა ქვიან იმ ქაღალდს?

— „მეტრიკა“, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სულის-დგმავ, ჩემო... ყმაწვილმა კაცმა ნაზად მოიზიდა თავისკენ ქალი, მოჰხვია ხელი და მაგრად დაეკონა კოკორ ალისფერ ტუჩებზედ. კარგა ხანს იდგნენ ასე გადახვეულები რაღაც ტკბილ სანეტარო თავდავიწყებაში შესულნი. მათთვის იმ წამს არ არსებობდა არც სივრცე და არც დრო...

ერთბაშად გაისმა ზარის წკარუნი და მკვეთრი ყურის მომწყვლელი ორთქლ-მავალის სტვენა. ქალ-ვაჟი შეჰკრთნენ, თითქოს ტკბილ სიზმრიდგან უეცრად გამოიყვანესო...

— ნახვამდის, ანიკო, ნახვამდის ჩემო სიცოცხლევ! გამოეთხოვა გულდაწყვეტით ვაჟი ყმაწვილ ქალს, რომელიც ერთხელ კიდევ მაგრად ჩაიკრა გულში და უკან-მოუხედავად სწრაფად გავარდა გარეთ.

ორთქლ-მავალმა მძიმედ ამოიხვნეშა, ბოლქვა-ბოლქვად ამოუშვა კომლის შავ-შავი ღრუბლები და დინჯად დაიძრა. დათიკო დასკუპულიყო ერთ-ერთს ვაგონის თავზედ და ბედნიერის მოღიმარის სახით უყურებდა თავისს სატრფოს, რომელიც კარებში იდგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხვირ-სახოცს უქნევდა. მატარებელი თან-და-თან უმატებდა სიარულს და წამის უკან ახალგაზდა კონდუქტორი საღამოს ბინდ-ბუნდში თეთრ წერტილს-ღა არჩევდა, რომელიც აქეთ-იქით ქანაობდა. ბოლოს ისიც მიიმალა თვალთაგან და შორს, თითქოს ჰაერში გაჩერებული, მოსჩანდა კიდევ მხოლოდ ფარნის მოყვითანო მკრთალი სინათლე...

მალე მუქი ცის ლაჟვარდი მოიჭედა ვარსკვლავებით, რომელნიც მხიარულად ციმციმებდნენ, ჰკრთოდნენ და თამაშობდნენ, როგორც ურიცხვი სანთლები ნელის ნიავის წამობერვაზედ. გაზაფხულის ნაზი ჰაერი, გაჟღენთილი ყვავილების ძლიერის თავ-ბრუ დამხვევ სურნელებით, ანებივრებდა ადამიანის გულს და უსახავდა შიგ, თუმცა რაღაც გაურკვეველს, მაგრამ ერთობ ტკბილს, სულის დამატყვევებელს სურვილს!... დათიკო აღტაცების გრძნობით შესცქეროდა მოკრიალებულს ვარსკვლავებიანს ცას, ღრმად ისუნთქავდა სუნნელოვანს ჰაერს და გრძნობდა, რომ ბედნიერი იყო, უზომოდ ბედნიერი, რისთვისაც წრფელის გულით მადლობას სწირავდა ზენარსს არსებას, რომელიც იქ, მაღლა, იმ ვარსკვლავებს ზემოდ მეუფებდა...

დიაღ, მის ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა: სიყვარული ახალგაზდა, მშვენიერის არსებისა, სამსახურში დაწინაურება, სხვა რაღა უნდოდა? ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი. განა დაავიწყდა, რაც იყო ამ რამდენისამე წლის წინად? ერთი უპატრონო ობოლი სოფლის ბიჭი, რომელსაც ქვეყანაზედ მოკეთე და შემბრალებელი არავინ გააჩნდა, გარდა უდროოდ მოხუცებულისა და დასნეულებულის დედისა... იმას მოაგონდა სიმწარესა და სიღარიბეში გატარებული ბავშვობა, ის დრო, როდესაც ფეხ-შიშველა და პერანგის ამარა დარბოდა ტყეში შუაგულს ზამთარში ფიჩხის მოსაკრებად, ხოლო საცოდავი დედა-მისი წელზედ ფეხს იდგამდა, მამაკაცსავით თავ-გამომეტებით მუშაობდა, რომ როგორმე გამოეკვება დედის-ერთა ბავშვი... მოაგონდა დაბალი, ბნელი, ისრით დახურული ქოხი, დედის უზომო შრომისაგან დაქანცული და გაყვითლებული სახე, იმისი ხშირი ოხვრა და ცრემლები..

მამა დათიკოს არ ახსოვდა, ალბად ძლიერ პატარა იყო, როცა მოუკვდა. მაგრამ ერთი რამ აკვირვებდა ამ ბავშვობის მოგონებაში: როცა ხან-და-ხან მეზობლის ბავშვებთან თამაშის შემდეგ შინ დაბრუნდებოდა და სევდიანის სახით შესჩიოდა დედას, ყველა ჩემს ამხანაგებს მამები ჰყავთ, რომელნიც ჰკოცნიან და ელერსებიან თავიანთს შვილებს, და მე-კი არაო,—დედა როგორღაც ახირებულად, თითქოს აბნევით, დარცხვენით შემოხედავდა, მერე თვალები ცრემლით აევსებოდა, ჩაიკრავდა მაგრად

და ერთ თავისს ნაცნობისაგან შეუტყვია, რომ თავ. დიმიტრი ერისთავს „უწმაწურის სიტყვებით გაელანძღა ის ვაჟარი და, როდესაც უკითხავს მას ნაცნობისათვის: რისთვის ლანძღავდაო“, ამ უკანასკნელს ასე უპასუხნია: „იმისთვის, რომ ხელის ჩამორთმევა როგორ გამიბედაო“. 2) არა ნაკლებ საზიზღარს ამბავს ასე მოგვითხრობს მესამე კორესპონდენტი:

„სოფ. ნიგოითის მცხოვრებმა გლეხმა ორმოცაძემ დის გათხოვების ქორწილში დაპატიჟა თავადი ალექსანდრე მაჭ—ძე, რომელიც გულ-წრფელი თანაგრძნობით ეწვია კიდეც. თუმცა ეს პირველი მაგალითი არ არის მისგან გლეხებისადმი თანაგრძნობა, მაგრამ ძალიან იუცხოეს მის მეგვარე „კნიაზებმა.“ ამ წლის მაისის დამლევს ხსენებული თავადი კიდევ დაეპატიჟა „დღეობაში“ ერთ გლეხს და დიდად ასიამოვნა ყველა იქ მყოფნი და თვითონაც ნასიამოვნები დარჩა. ამას შემდეგ დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმა გაჰმართეს მისმა მეგვარე „კნიაზებმა“. იმის მაგიერათ, რომ მიებაძათ ამ მაგალითისათვის... „ყოყოჩა კნიაზებმა“ უშვერი სიტყვებით დაუწყეს ხსენება ამ პატიოსან წმინდა მოაზრე თავადს... „როგორ თუ შეგვარცხვინე და დაგვიმცირე გვარიო, რომ დაეპატიჟე გლეხსაო“. მაგრამ, რასაკვირველია, იკითხავს განცვიფრებული მკითხველი, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ ფაქტებს მეცხრამეტე საუკუნესთან, მთელ გურიის საზოგადოებასთან და თუნდა თვით ,,კვალის‘‘ რედაქციასთან, რომლის სიბრძნე ერთის ხსენებულ კორესპონდენტის სიტყვით ისე დიდია, რომ ,,მის მორევში „ფროფანასავით‘‘ იხრჩობიან‘‘. საქმე ის გახლავთ, რომ ,,კვალის‘‘ რედაქციისა და მის კორესპონდენტების ფიქრით, თ. დიმიტრი ერისთავი და თავადნი მაჭ-ძეები წარმოადგენენ ძველ ფეოდალურს პრინციპს, შეურაცხ-ყოფილი ვაჟარი და ის თავისს მეგვარეთაგან აბუებული თავადი ახალს, ბურჟუაზულსა და დემოკრატიულს. ხსენებული ფაქტები, იმათის ფიქრით, თვით ძველისა და ახალის პრინციპის შეჯახებაა, ბრძოლაა. აი ასე ესმის თურმე „კვალს“ დემოკრატიის პრინციპი! „სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს.“

ვ. წ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

აქამდის რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი აღმოსავლეთ აზიის საქმეების შესახებ ერთად მოქმედებდნენ, გავლენა იქონიეს იაპონიის პოლიტიკაზედ და იძულებულ-ჰყვეს შეეცვალა ზოგიერთი მუხლი სიმონოსეკის ხელ შეკრულობისა; თუმცა ესეც უნდა ვსთქვათ, რომ იაპონიამ უფრო სიტყვით მიიღო ზემოხსენებულ სამთა სახელმწიფოთა წინადადება და საქმით-კი ჯერ-ჯეროპით მაგდენი არა შეუსრულებია-რა, ან შეასრულებს თუ არა, ესეც არ იციან დღეს, რადგანაც იაპონია ბუნდად ლაპარაკობს კორესა და ლიატონგის ნახევარ კუნძულის შესახებ.

ამას ჰგრძნობენ, რასაკვირველია, ის გაზეთები, რომელთაც უდროო-დროს დაჰკრეს ბუკი და ქვეყანას აუწყეს, რომ აილაგმა იაპონიის თავგასულობა და, მაშასადამე, მსოფლიო გადარჩა კიდევ ერთს სისხლის ღვრას. როგორც ვიცით, იაპონია ჯერ-ჯერობით არ ასრულებს თავისს დაპირებას. მოსალოდნელია, რომ აღმოსავლეთ აზიის საქმე სხვა მიმართულებას მიიღებს, მით უმეტეს რომ ერთი ზემოხსენებულ სახელმწიფოთაგანი წინად თუ მის წინააღმდეგ მოქმედებდა, ახლა თითქმის რომ ემხრობა მას! რომ ეს ასეა, აი რას ამბობს გერმანული გაზეთი „ჰამბურგერ ნახრიხტენ“-ი: გერმანიის მთავრობა, თავად ბიმარკის ორგანოს აზრით, სრულებით უმიზეზოდ და დაუპატიჟებლად მიემხრო რუსეთსა და საფრანგეთს წინააღმდეგ იაპონიისა იმ დროს, როდესაც იაპონია დასუსტებული იყო ჩინეთთან ბრძოლით. დღეს-კი მან სრულებით მოულოდნელად იცვალა მხარი და იმ იაპონიას, რომელსაც წინად ეწინააღმდეგებოდა, ახლა დახმარებას უწევს იმით, რომ იგი ინგლისის პოლიტიკის თანამგრძნობელია.

ამისთანა საქციელმა, ჰგონებს ზემოხსენებული გაზეთი, გერმანიის მთავრობა ორ წყალს შუა ჩააგდო. თუ წინად გერმანია მიემხრო რუსეთსა და საფრანგეთს აქ, რასაკვირველია, რუსეთთან დამეგობრება ჰქონდა აზრად, ეხლა-კი მხარი აუქცია იმავე რუსეთს. ასე რომ ერთის მხრივ მოიმდურა რუსეთი და მეორეს მხრივ იაპონია, რომელიც არა დროს არ აპატიებს გერმანიას, რადგანაც იგი ჩაერია აღმოსავლეთ აზიის საქმეში და დახმარება გაუწია მის მოწინააღმდეგეთ. გერმანიამ ამისთანა საქციელით არამც თუ ვერ მოიმადლიერა რუსეთი, არამედ მან იმისთანა მიმდინარეობა მისცა საქმეს, რომ მშვიდობიანობა საეჭვოდ გახადა.

—

გაზეთ „კასპში“ დასტამბულია კორესპონდენცია ტფილისიდგან, რომელშიაც მოყვანილია მამა ნანაბაშვილის წინადადება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობისათვის წარდგენილი. მამა ნანაბაშვილი ძლიერ შეუწუხებია იმ გარემოებას, რომ საქართველოში რუსული წირვა-ლოცვა არ არისო. ტფილისიდგან ბათუმამდე რკინის გზის მსახურნი სრულიად გაველურდნენ, რადგანაც ეკკლესიები არ არისო. ამისათვის მამა ნანაბაშვილი ემუდარება რკინის გზის მმართველობას — ეკკლესიები აშენდეს უმთავრეს რკინის გზის სადგურებზედ, სადაც მსახურთ შეეძლოთ წირვა-ლოცვის მოსმენა რუსულს ენაზეო. მმართველობას ძლიერ მოსწონებია გულშემატკივარის მღვდლის წინადადება («еще-бы!») და გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს ეგზარხოსის წინაშე, რათა რკინის გზის მსახურთაგან რამდენიმე ცალკ-ცალკე მრევლი იყოს შედგენილი თავთავიანთის მღვდლებით და ამ რკინის გზების მრევლთაგან შედგენილ იქმნას ერთი საბლაღოჩინო (კარგი ახალი თანანდებობა გახლავთ' სწორედ!) კარგი პროექტია, მაგრამ ჩვენ გვსურს ზოგი რამ აგვიხსნას პატივცემულმა შემდგენელმა.

მამა ნანაბაშვილი ამბობს, რომ უნდა აშენდეს ეკკლესიებიო შემდეგ სადგურებზედ: ბაქო, განჯა, ტფილისი და ბათუმი. კარგი, მაგრამ ამ ქალაქებში ცოტა არის მართლმადიდებელთ ეკკლესია, სადაც წირვა-ლოცვა რუსულს ენაზედ არ წარმოებდეს? ნუ-თუ ამისთანა ქალაქებშიაც «Невозможно въ теченіе многихъ лѣтъ слышать службу на понятномъ русскомъ языкѣ‘‘? ჩვენ გვესმის კიდევ ეკკლესიების აშენება სადმე ქურდამირსა, მიუსულისა და სხვა ამგვარ სადგურებზედ, მაგრამ ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ტფილისი რაღა შუაშია?!.

პირ-იქით ამბობენ, რომ ამ ქალაქებში სანთლით უნდა ეძიო ეკკლესია, სადაც ქართულის წირვა-ლოცვის მოსმენა შეიძლებოდესო!..

მამა ნანაბაშვილი სწერს: არავითარი ხარჯი არ უნდა დაიშუროს მმართველობამა, რათა რუსეთიდგან ჩამოსულს მრავალს მსახურს გაუადვილოს სიცოცხლე, რადგანაც ამ ქვეყანაში ისინი „საგანგებო გარემოებებში“ სცხოვრებენ და ველურდებიანო. არ შეიძლება ფარდა ახადოს მღვდელმა ნანაბაშვილმა და დაასახელოს სახელდობრ, რა საგანგებო გარემოებანი აველურებენ რუსთ საქართველოში?

თუ ასე საშინელია ამ მსახურთა მდგომარეობა ჩვენში, უმჯობესი არ იქნება რკინის გზის მმართველობამ ადგილობრივი მცხოვრებნი იმსახუროს? რად იწერს მმართველობა ამოდენა ხალხს რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან, თუ მათ გაველურება მოელის? მამა ნანაბაშვილი ეკკლესიების უქონლობის გარდა სწუხს, რომ რუსის მსახური ცხოვრებს ერში, რომელიც სულ უცხოა, როგორც ენით, ისე ზნითა და ჩვეულებით, მაშასადამე, უნდა გამოჩნდეს ისეთი გულშემატკივარიც, რომელმაც წინადადება შეიტანოს რკინის გზების სადგურებზედ და მის ახლო-მახლო აყარონ მკვიდრნი და რუსები დაასახლონ. ეს მეორე წინადადება ნამდვილი გაგრძელება და დამატება იქნება მღ. ნანაბაშვილის წინადადებისა!

ერთი შენიშვნა კიდევ; ტფილისიდან დაწყებული ბათუმამდე სულ ქართველი ერი სცხოვრებს, თვით რკინის გზაზედაც მრავალი ქართველობა მსახურებს. ამიტომ საჭიროა, ვიკითხოთ, — რა უფრო სამართლიანი და უფრო მოსახერხებელიც არის: მთელმა ერმა სხვა ენაზედ დაიწყოს ლაპარაკი, წირვა-ლოცვაც სხვა ენაზედ მოისმინოს, ზნე-ჩვეულებაც შესცვალოს ერთ-მუჭა უცხო მოხელეთა ცხოვრების დასატკბობად, თუ ამ ერთ-მუჭა მოხელეებმა შეისწავლონ მკვიდრთა ენა?

სამწუხაროა ახალი ტენდენციები, მით უმეტესს რომ ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობის წინააღმდეგს აზრს ვისმენთ: ამას წინად კავკასიის სასამართლოს ოლქის რევიზიის დროს, უმაღლესის უწყების წარმომადგენელი ესაყვედურებოდა რუს-მოხელეთ — როგორ არ შეგისწავლიათ აქამდის იმ მკვიდრთა ენა, სადაც სცხოვრებთ და მსახურებთო?

## ემირის ანდაზა.

—

„გედი ტბაში დასცურავდაო, — სთქვა ემირმა; ერთის მხრიდგან მგლების გროვა შესცქეროდა და შესაჭმელად კბილებს ილესდნენ, მეორე მხრიდგან დედალი ფოცხვერი. ვინ იცის, შიშისა თუ ცნობის-მოყვარეობის გამო გედი ფოცხვერისაკენ გასცურდა. წასწვდა ფოცხვერი და რამდენიმე ბუმბული გააგდებინა. დაღონებულმა გედმა მეორე ნაპირს მიაშურა, მაგრამ აქ მგლების გროვა მიესია და უთუოდ ლუკმა-ლუკმად აქცევდნენ, რომ ისევ შუა გულ ტბაში არ შეცურებულიყო. გედმა ახლა სრულად უშიშრად იგრძნო თავი და გადასწყვიტა, შემდგომში შუა გულ ტბას არ გასცილდებიო. გედი დამშვიდებული გაჰყურებდა, რა გააფთრებულნი გასცქეროდნენ ერთმანეთს მგლების ხროვა და ფოცხვერი წყალ გაღმა-გამოღმა ნაპირიდგან. გაჰყურებდა გედი და ფიქრობდა თავისთვის — რა იქნება, რომ მო-

---

გულში და ეტყოდა: „ჰგავს ასე უნდოდა, შვილო, ბედის-წერას, რომ ჩვენ მფარველი და პატრონი არ გვყოლოდა ამ ქვეყანაზედ... გულს ნუ მიკლავ, შვილო, ჯავრით, ნულარას მკითხავ აწი ამაზეო“! საბრალო ქალს ამ სიტყვების შემდეგ ამოუჯდებოდა გული და მოჰყვებოდა გულ-საკლავად ქვითინს...

იმ ბნელ ბავშვობის დროიდგან დათიკოს მოაგონდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა მისს ნორჩს გონებაში. ოთხი-ხუთის წლის თუ იქნებოდა მაშინ. ზაფხულის მიწურული იყო, მზე ჩასვლას ეპირებოდა. დედა ძროხას სწველიდა და შვილი-კი მეორე მხარეს იდგა და წკეპლით იგერებდა ორის თვის ხბოს, რომელიც ხარბის თვალებით შესცქეროდა რძით გაბერილს დედის ცურს და მოუთმენლად ტოკავდა და უტრიალებდა ირგვლივ. ამ დროს ვიღაც ცხენოსანი შემოვიდა, მარდათ ჩამოხტა, ცხენი ღობეზედ მიაბა და შეუმჩნევლად დედა-შვილს წაადგა თავს და მხიარულად წარმოსთქვა: ,,გამარჯვება შენი, მართაო!“ დედამ მოიხედა, სახეზედ გაფითრდა და აკანკალებულის ხმით მიუგო: ,,ღმერთმა გაცოცხლოს, დავითო! შემდეგ საჩქაროდ დაავლო ხელი რძით სავსე ქილას და შეეპატიჟა სტუმარს ქოხში. დათიკოც გაეკიდა უკან, მაგრამ შევიდნენ თუ თუ არა სახლში, დედამ უთხრა გარეთ გადი და ითამაშეო. და ისიც იძულებული იყო, გამოსულიყო. ხოლო შორს-კი არ წავიდა; უცნობის კაცის მოსვლამ საშინელის ძალით აღუძრა ბავშვური ცნობის-მოყვარეობა, და აიტუზა რა სახლის გვერდზედ, მაგრად მიაკრა ყური კედელს, რომ გაეგო თუ რა ამბავი ხდებოდა შიგნით დედა-მისსა და უცნობ კაცს შორის. თავდაპირველად დაბალის ხმით ლაპარაკობდნენ ასე, რომ თითოეულის სიტყვის გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ რამდენიმე წამის უკან ისე აამაღლეს ორთავემ ხმა, რომ ლაპარაკი გარკვევით ისმოდა გარეთ. და აი, პატარა დათიკოს, რომელიც გარინდებული მიჰკვროდა ყურით კედელს, ნათლად მოესმა ათრთოლებული დედის ხმა, რომელსაც უთუოდ ზედ ცრემლებიც ერთოდა: „რა გულ-ქვა, რა უწყალო ადამიანი ხარ... შენი სისხლი და ხორცია, შენი!.. სიყვარულს ვიღა ჩივა, ნუ თუ სიბრალული მაინც აღარ გაქვსდ ურიაც, თათარიც-კი გაიკითხავდა, შეიბრალებდა ჩვენს მდგომარეობაში ჩაცვივნილს ადამიანებს, შენ კი“... „თავი დამანებე, მართა!. — გაჯავრებით შესძახა იმ კაცმა, — „მე საყვედურების მოსასმენად აქ არ მოვსულვარო!“ ამ სიტყვაზედ ალბათ უცნობი მაშინვე ადგა და გარეთ გავიდა, რადგანაც მაშინვე კარის ჭრიალი მოესმა და თანაც დედისაგან აღშფოთებით წარმოთქმული „უსინიდისო!“ წამის უკან დათიკომ დაინახა, როგორ მოახტა უცნობი ცხენს და გაჰქუსლა ისეთის სისწრაფით, რომ კაცს ეგონებოდა ხმალ-ამოწვდილი მტერი სასიკვდილოდ დაედევნა უკანაო.

ამ შემთხვევის შემდეგ დათიკოს ის აღარ უნახავს დედასთან მოსული და არც უკანასკნელს უხსენებია იმისი სახელი... მხოლოდ დრო-გამოშვებით, უფრო იმ წამებში, როდესაც ყმაწვილს კაცს გულზედ დარდები მოაწვებოდა, რაღაც აუხსნელის კავშირის ძალით ტვინში ეს ბავშვობის მწარე მოგონება გაიღვიძებდა და კიდევ უფრო მოუშხამავდა ისედაც დამწარებულს გულს... ვინ იყო ის კაცი? რა დამოკიდებულება ჰქონდა დედასთან? უთუოდ მახლობელი ვინმე უნდა ყოფილიყო, რომ დედა მათდამი უყურადღებობას აყვედრიდა... თუ ასე იყო, რად არ გაუმხილა ყველაფერი, თუ არა და რად იტანჯებოდა ასე?...

დიაღ, დათიკოს ახლაც კარგად ახსოვს, როგორ შევიდა სახლში იმ კაცის წასვლისათანავე და დაინახა, რომ დედა დაბალ სამფეხა სკამზედ დამჯდარიყო და ჩუმად სტიროდა; როგორ აუდუღდა გული სიბრალულით და თანაც შურის-ძიებით უცნობისადმი, რომელსაც სთვლიდა დედის მწუხარების მიზეზად. იმას უნდოდა ენუგეშებინა დედა, შეეფიცა უთუოდ სამაგიეროს გადავუხდი იმ „უსინიდისოსო“, მაგრამ ჯავრით მოკლულისა და ცრემლებით დასველებულის სახის სანახაობამ ენა ჩაუგდო ყმაწვილს, და ერთის სიტყვის თქმაც ველარ მოახერხა... დათიკომ მხოლოდ მოჰხვია კისერზედ დედას თავისი პაწაწინა მღელვარებისაგან ათრთოლებული მკლავები, იმანაც უსიტყვოდ მაგრად მიიკრა გულზედ ერთად-ერთი ამ ქვეყნის ნუგეში და სიხარული და დაუწყო გატაცებით კოცნა-ალერსი. ყმაწვილი გრძნობდა, რომ ლოყებზედ რაღაც ცხელ-ცხელი წვეთები ეცემოდა, რომელნიც შანთივით სწვავდნენ პირის-კანს.... ეს დედის მდუღარე ცრემლები იყო... „ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნუგეშო, ჩემო სულის ჩამდგმელო ბიჭო!“ — იმეორებდა ის დაუსრულებლად ნარნარის, ტკბილის ხმით და უფრო და უფრო მაგრად იკრავდა გულში... მეტი ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია იმ დროს დედას.

ამის შემდეგ ათმა წელმა განვლო, რომლის განმავლობაში არაფერი ცვლილება არ დასტყობია დედა-შვილის ცხოვრებას, რომელიც უწინდებურად საბრალოდ მიზოზინებდა, ერთ-ფეროვანად და ერთ-კილოვანად; ერთი დღე მეორესა ჰგავდა, ისე როგორც ერთმანეთსა ჰგავს ხოლმე შუაზედ გაჭრილი ვაშლის ორი ნახევარი.

მხოლოდ, — კურხეულ იყოს ის დღე! — როდესაც დათიკო 15 წლისა შეიქნა. მისს ცხოვრებაში მოხდა ამბავი, რომელმაც წაღმა დაატრიალა იმისი ბედის ჩარხი.

დიმ. ერისთავი.

(დასასრული შემდეგ №-ში იქნება).

რეცი დაშრეს,—ფოცხვერი უთუოდ, მაგრამ-კი უფრო მგლები,—შესჭამენ მას და რადგანაც შუაში წყალი, ან სხვა-რამ საერთო სადავლი აღარ ექნებათ, უთუოდ ერთმანეთსაც გადასჭამენო.“

— „მერე ვინ გაიმარჯვებდა?— ჰკითხა ემირს მისმა საყვარელმა შვილმა. მცირე ხანს დაფიქრდა ემირი და უთხრა:

— ერთმანეთი რომ არ დაეჭამათ, ისეთი უმრავლესობა იყო მგლებისა, რომ, ღმერთმა-კი“ დაიფაროს, ვინ იცის, რას არ აჯობებდნენ!“

შემდეგ ემირმა, რადგანაც უმრავლესობა ვერ მიჰხვდა ამ იგავ-არაკის ნამდვილს აზრს, ასე ახსნა იგი: გედიგ მე ვარ, ტბა ავღანისტანის მთეია, მგლების ხროვა რუსეთი და ფოცხვერი ინდოეთის ინგლისელებით.

## უცნაური სიზმარი.

შვეციის ქალაქ გეფლეში ერთმა ქალმა ნახა სიზმარი, რომლის შემწეობითაც პოლიციამ მიაგნო ბოროტ-მომქმედის კვალს. აი საქმე როგორ იყო: ერთი მგზავრთაგანი მოკლული და გაძარცული ნახეს მეორე კლასის ვაგონში. პოლიცია მაშინვე შეუდგა ავაზაკის ძებნას, მაგრამ ცდა ამაოდ დაურჩა. ამ დროს პოლიციის უფროსმა მიიღო წერილი ქ. გეფლედგან. ამ წერილში ერთი იქაური დურგლის ცოლი სწერდა: «მე დამესიზმრა, ვითომც მეორე კლასის ვაგონში ვიჯექი და სუნდევილლში მივემგზავრებოდი. ამ ვაგონში ჩემს გარდა ორი მამაკაცი იჯდა. რადგანაც მათი იქ ყოფნა მე მავიწროებდა, ავდექ და შეველ მეორე ვაგონში; აქ ერთი კუთხე დავიჭირე და მალე შევნიშნე, რომ ჩემს პირდაპირ მეორე კუთხეში ეძინა ვიღაცას. გავიდა პატარა ხანი, ვხედავ უცებ კარები გაიღო და ვაგონში შემოვიდა შუატანის, მაგარი აგებულობის ქერა კაცი. მან ფრთხილად მიიხედ-მოიხედა. მერე ამოიღო ჯიბიდამ წითელი ცხვირ-სახოცი, გაახვია მის ყურში დამრგვალებული ტყვია, გამოსკვნა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაარტყა საფეთქელში მძინარეს. შემდეგ წყნარად დაუწყო მხრებიდამ ზაკვოიაჟის ხსნა და როდესაც იგი შეინძრა, მან კიდევ დაარტყა ხელ-სახოცში გამოხვეული ტყვია. ახლა-კი უბედური მთლად გამოესალმა სიცოცხლეს და ავაზაკი კვლავ შეუდგა თავისის მსხვერპლის ძარცვას: ამოაცალა ჯიბიდამ ქაღალდები, ფული, მერე თავის ჯიბიდამ ამოიღო კალმის დანა, ერთ ადგილას გაიჭრა პალტო და ყველა ნაძარცვი ქაღალდები შიგ ჩააწყო, შემდეგ ჩემსკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი. მე ძალიან შემეშინდა, უცებ შევკივლე და გამომეღვიძა“. პოლიციამ ყურადღება მიაქცია ამ სიზმარს, იხელმძღვანელა და მოკლე ხანში კიდეც აღმოაჩინა ბოროტ-მომქმედი. ქალი, რომელმაც ზემოხსენებული სიზმარი ნახა, თვით გამოცხადდა პოლიციის უფროსთან. იგი ორმოც-და თხუთმეტის წლისაა, სრულებით ჯან-მრთელი. ქმარი მისი ამავე ქალაქის მცხოვრები დურგალია. ამ ქალს თავისი სიცოცხლე ქ. გეფლეში გაუტარებია და არა დროს არ ყოფილა სუნდევილის სადგურზედ. მრავალ ფოტოგრაფიულს სურათებში მან დაუყოვნებლივ იცნო ავაზაკის სახე. საკვირველი ის არის, რომ ეს სიზმარი სწორედ მაშინ უნახავს ამ ქალს, როდესაც ზემოხსენებული ბოროტ-მოქმედება მომხდარა.

მკვლელი ყველაფერში გამოტყდა და ქალის ჩვენება სრულიად მართალი გამოდგა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** მუშათა პარტიას განუზრახავს მომავალ არჩევნებზედ ოცს საარჩევანო ოლქში თვისი კანდიდატები გამოიყვანოს და კენჭი უყაროს. აქამდის მუშათა პარტია უმეტეს ნაწილად არ იღებდა მონაწილეობას პარტიათა ბრძოლაში ან და რომელიმე სხვა პარტიას მიეკედლებოდა ხოლმე, გარდა მუშებისა, სოციალ-დემოკრატებიც იყრიან კენჭს ოთხს ოლქში. გაზეთები ამბობენ, რომ ორივე პარტიას შეუძლია გამარჯვებული გამოვიდეს არჩევნებიდგანაო.

—

პარნელისტების მოთავემ რედმონდმა გამოსცა ამ დღეებში მანიფესტი, რომელშიაც ბრალსა სდებს ლიბერალთა პარტიას, რადგანაც ვერ შეიძლო ირლანდიისთვის ჰომრულის მინიჭებაო. რედმონდი ურჩევს ყველა ირლანდიელთ შეერთებასა და ერთის პარტიის შექმნას, რომელმაც პარნელის პოლიტიკით უნდა იხელმძღვანელოს, ესე იგი, ირლანდიელთ პარტია არც ერთს ინგლისის პარტიას არ უნდა მიეკედლოს.

## წვრილი ამბავი

გამოჩენილი არტისტი ქალი ადელინა პატტი ამ ჟამად ლონდონის კოვენგარდენის თეატრში თამაშობს. არტისტმა ქალმა დიდად გაიმარჯვა აქ ვიოლეტას როლში ტრავიატაში. თეატრი ხალხით მთლად გაჭედილი იყო. აღტაცებულმა საზოგადოებამ იმდენი ყვავილები და გვირგვინები უძღვნა მოთამაშეს, რომ სცენა ნამდვილს ყვავილებისა და თაიგულების მაღაზიას დაემზგავსა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ივნისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ებრძანა ფინანსთა მინისტრს, რომ საფრანგეთისა და რუსეთის კაპიტალისტთა დახმარებით გამოიცეს ჩინეთისათვის 4% ოქროს სესხი 400 მილიონ ფრანკისა. სესხი გარდახდილ უნდა იქმნას 36 წლის განმავლობაში. რომ სესხი თავ-თავის დროზედ გარდახდილ იქნება, ამისი თავდები იქნება ჩინეთის საბაჟო შემოსავალი, რასაც თავდებობს რუსეთის ხაზინა.

**სებასტოპოლი.** აქ ერთი კეთროვანი აღმოჩნდა.

**სტოკჰოლმი,** 25 ივნისი. გუშინ ჩამოვიდა აქ იმპერატორი ვილჰელმი.

**ბელგრადი,** 24 ივნისი. პარლამენტის კრება გაიხსნა.

**ლონდონი,** 24 ივნისი. როზბერიმ წარმოსთქვა სიტყვა და ახალს სამინისტროს გარეშე პოლიტიკაში დახმარებას ჰპირდება. როზბერის იმედი აქვს—შესახებ სომხეთის საქმისა სამინისტრო წინანდელს პოლიტიკას არ შესცვლის.

პორბანდარში შეიტაკნენ ინდოელები და მაჰმადიანები. მოკლულ იქმნა 8, დაჭრილია 184. წესიერება აღადგინა მოწოდებულმა ჯარმა.

**ბელგრადი.** ახალი კაბინეტი უკვე შესდგა. გარეშე საქმეთა მინისტრად და საბჭოს პრეზიდენტად ნოვაკოვიჩი ამოირჩიეს, აგრეთვე ამორჩეულ იქნენ: სტეფანე პოპოვიჩი ფინანსთა მინისტრად, ნინჩიჩი შინაგან საქმეთა მინისტრად, ფრანასოვიჩი სამხედრო მინისტრად, პეშკოვიჩი საზოგადოსა მუშაოთა და ვაჭრობის დროებით მინისტრად, მაგინკოვიჩი სასულიერო საქმეთა მინისტრად და პროფ. სიმიჩი საერო განათლების მინისტრად.

**ლონდონი,** 24 ივნისი. პარლამენტს წაუკითხეს დედოფლის ბრძანება პარლამენტის დათხოვნის შესახებ.

26 ივნისი.

**პარიზი,** 25 ივნისი. განსაკუთრებულს ინტერესს წარმოადგენენ საპატიმროთა კონგრესზედ მცირე წლოვან დამნაშავეთა გამსწორებელი სახლები, იგინი ყველასაგან დიდად სასარგებლოდ იქმნენ ცნობილნი და კარგს მომავალსაც უქადიან. ამბავი იმის შესახებ, რომ რუსეთის დამნაშავეთა გამსწორებელი სახლები უმაღლესის მფარველობის ქვეშ იქმნას მიღებულიო, დიდისა და ხანგრძლივის ტაშის ცემით იქმნა მიღებული და საზოგადო კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ კონგრესის მხრივ მადლობა და პატივისცემა განეცხადოს.

**ბელგრადი,** 26 ივნისი. ჩებინცის საქმეში დამნაშავედ ცნობილთ ყველას აპატია მეფემ და უკვე გაანთავისუფლეს.

მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი ხრისტიჩი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ იქმნა დანიშნული.

**ლონდონი,** 26 ივნისი. ალექსანდრიიდგან იუწყებიან, რომ ქედივი სტამბოლს მიბრძანდება და აქედგან საბერძნეთის კუნძულებს დაათვალიერებსო. მგზავრობაში სულ სამს თვეს დაჰყოფსო.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. მ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად
ფილოსოფოსი
# სოკრატი.
თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

---

ქირურგიული სამკურნალო
# „პ ნ ი“
მოსკოვში.
სამკურნალოს კიდევ მიემატა ორი ახლად გაგეთებული პავილიონი.
მიიღებიან როგორც მოზრდილნი ისე ბავშვები ქირურგიულისა და შარდით ავადმყოფნი. საავადმყოფოში ყოფნაში და წამლობაში თვიურად ერთმევად 60-დგან 300 მან. ავადმყოფთ, უფრო-კი ბავშვებს, შეიძლება თან ჰყავდეთ მშობლები, ან ნათესავები. სამკურნალოსა ჰყავს თავისი საკუთარი მრჩეველი ექიმები.
პატრონი და დირექტორი ექიმი პ. ი. მოდლინსკი. ორდინკა, მ. კადაშევის მოსახვევი, საკუთარი სახლი. (10—3—7.)

---

ახალი გამოცემანი:
# საშხარეულო
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
**ფასი მანეთ ნახევარი.**

---

მოსამზადებელი სასწავლებელი
# ი. პ. როსტომაშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.
ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.
მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე.
სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

---

# ვ პ ი ს რ უ ლ ო ბ
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარ სარჩებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.
(15—„)

---

კელერის სუფრაზედ სახმარებელი სუნნელოვანი მდოგვი,
წმინდად დაფქული და მომზადებული, რომ საჭიროების დროს **უცბად** შეიძლებოდეს მისი გაკეთება; ეს მდოგვი ყველაზედ უკეთესია გემოთი, სუნნელოვნებითა და სიიაფით.
ისყიდება ყ ვ ე ლ ა ცნობილ ვაჭრებთან და ყ ვ ე ლ გ ა ნ.
(2—15—1).

---

იბეჭდება და მალე გამოვა
# პ. ს. მესხის
# დრამატიული ნაწარმოები
ს ა მ წ ი გ ნ ა დ.
წიგნი პირველი:
1) **თამარ ბატონიშვილი,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე,** დრამა 4 მოქმედებად.
3) **ქარაფშუტა,** სამ-მოქმედებიანი კომედია.
მეორე წიგნი:
1) **რუსთაველი,** ოთხ-მოქმედებიანი პიესა.
2) **სამშობლოს სადიდებლად,** ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.
3) **შეშლილია,** ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.
მესამე წიგნი:
1) **ირაკლი მეორე,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ჭირვეული ცოლის მორჯულება,** კომედია შექსპირისა, მოხერხებულს ქართული სცენისათვის.
3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.
ვინც **დაბეჭდვამდის,** ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაეთმობა 2 მან. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 **ეგზემპლიარს მეტს** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაეთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, პ. ს. **მესხს.**


Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედ. ქრონ.-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.